ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/154

ქ. თბილისი 03. 09. 2013

„ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, პროცედურისა და ვადების შესახებ" რექტორის 2013 წლის 26 ივნისის №02-02/120 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 3 სექტემბრის დადგენილების (ოქმი №1) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, პროცედურისა და ვადების შესახებ" რექტორის 2013 წლის 26 ივნისის №02-02/120 ბრძანებაში და ბძანების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამოცხადდეს მიღება 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საქართველოს ისტორია	(9 ადგილი)
ქართველური ენათმეცნიერება	(9 ადგილი)
ქართული ლიტერატურის ისტორია	(5 ადგილი)
თარგმანმცოდნეობა	(5 ადგილი)

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლა (ფაკულტეტი)

ბიზნესის ადმინისტრირება (13 ადგილი)

ეკონომიკა (7 ადგილი)

1.3 ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

მეხსიერების ნერვული მექანიზმები (9 ადგილი)

მცენარეთა ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია (5 ადგილი)

ეკოლოგია და გარემოს დაცვა (4 ადგილი)

გეოფიზიკა (4 ადგილი)

საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება (10 ადგილი)

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლა (ფაკულტეტი)

ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება (9 ადგილი)

საერთაშორისო სამართალი (4 ადგილი)

2. 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის დოქტორანტურაში მიღების ორგანიზებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია - 19 აგვისტო - 11 სექტემბერი;

2.2. ტესტირება უცხო ენაში 7-12 სექტემბერი;

2.3. შედეგების გამოცხადება 8-12 სექტემბერი;

2.4. ტესტირების შედეგების გასაჩივრება 8-13 სექტემბერი;

2.5. აპელაციის შედეგების გამოცხადება 10-13 სექტემბერი;

2.6. გასაუბრება სპეციალობაში 11-14 სექტემბერი;

2.7. გასაუბრების შედეგების გამოცხადება 13-14 სექტემბერი;

2.8. გასაუბრების შედეგების გასაჩივრება 13-15 სექტემბერი;

2.9. აპელაციის შედეგების გამოცხადება 14-15 სექტემბერი;

2.10. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა და ხელშეკრულების გაფორმება დოქტორანტების კანდიდატებთან 13 -16 სექტემბერი;

2.11. დოქტორანტობის კანდიდატების ჩარიცხვა 16 სექტემბერი“

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის

სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე